საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 14/42460
28/04/2015

42460-14-2-201504281645

GRASS REFORMANDA
ასოც. „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
შემოსავლის რეგისტრაციის № 104
29 04 2015 წ.

ფაქტ-მეტრის (Factchek.Ge) მთავარ რედაქტორს
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს
მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ.#27

ტელ: 598 775 404

ბატონო პაატა,

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 20 აპრილის N151 წერილი და გაცნობებთ, რომ ა.წ. 6 მარტის საქართველოს მთავრობის N422 განკარგულებით „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს სამინისტროებს, სახელმწიფო მინისტრის აპარატებს და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ იმ მხარჯავ დაწესებულებებს, რომლებიც ექვემდებარებიან საქართველოს საქართველოს მთავრობის კონტროლს დაევალათ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, ადმინისტრაციული ხარჯებისა და ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების შემცირების შედეგად გამოთავისუფლებული რესურსის და ამ რესურსის შესაძლო გამოყენების მიზნობრიობის თაობაზე ინფორმაციის წარდგენა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის.

საქართველოს მთავრობის N422 განკარგულების მოთხოვნის შესრულების მიზნით თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულებამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინა შესამცირებელ ასიგნებებთან დაკავშირებული ინფორმაცია ან დასაბუთებული განმარტება აღნიშნული განკარგულების პრინციპების გათვალისწინების შეუძლებლობის შემთხვევაში.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის შემდგომ, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის N706 განკარგულება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებების გაზრდის თაობაზე“, რომელიც ითვალისწინებს ზოგიერთი საქართველოს სამინისტროს მიერ შესამცირებელი ასიგნებების (20 მლნ ლარი, დანართი N1) მიმართვას საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში, შემდგომში საინვესტიციო პროექტების განხორციელების მიზნით. ამასთან, მხარჯავი დაწესებულებები ზემოაღნიშნული პრინციპების

შესაბამისად, განაგრძობენ მიმდინარე ხარჯების შეზღუდვას, რაც საშუალებას მოგვცემს წლის განმავლობაში გამოთავისუფლდეს დამატებითი რესურსი, რომელიც ძირითადად მიიმართება ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

დანართი: „ 1“ ფურცელი

პატივისცემით,

ეკატერინე ყაველაშვილი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

დანართი N1

დასახელება	შესამცირებელი თანხა (ათას ლარებში)
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	-10,500.0
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	-2,000.0
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	-2,000.0
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	-1,100.0
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	-1,000.0
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	-1,000.0
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	-1,000.0
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	-500.0
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	-500.0
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	-200.0
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	-100.0
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	-100.0
სულ	**-20,000.0**